

არეულობა ნალკაში

გუშინ, ნალკის რაიონის გამგებელსა და სომხურ მოსახლეობას შორის დიდი შეხლა-შემოხლა მოხდა. შიდა ქართლის რეგიონის პროკურორის მამუკა ცაავას თქმით, დახლოებით, ასამდე სომეხი გამგებელს ელდარ ხვისტიანს კაბინეტში შეუვარდა და სასტიკად სცემა. ჩხუბისას ხვისტიანს ერთ-ერთმა თავდამსხმელმა თავში ბლაგვი საგანი ჩაარტყა. შემთხვევის ადგილზე დაგვიანებით მისულ პოლიციას შედარებით მშვიდი სიტუაცია დახვდა, რადგან რამდენიმეწუთიანი ჩხუბის შემდეგ, თავდამსხმელები გაქცნენ და მიიმალნენ. მომხდურთა სიმრავლის გამო, ინციდენტში ჩარევა, თურმე, ვერც გამგეობის თანამშრომლებმა გაბედეს.

გამგებლისა და მოსახლეობის დაპირისპირების ზუსტი მიზეზი, ჯერჯერობით, ცნობილი არ არის. თუმცა, როგორც პროკურორმა ჩვენთან საუბარში აღნიშნა, ჩხუბის მიზეზი, სავარაუდოდ, სოციალური პრობლემა უნდა ყოფილიყო, რის გამოც დაპირისპირებულ ჯგუფსა და გამგებელს შორის, რამდენიმე წელია, დაძაბული ურთიერთობა არსებობს. ელდარ ხვისტიანი ნალკის გამგებლის თანამდებობაზე საკმაოდ დიდი ხანია მუშაობს.

მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით, გუშინვე, გენერალური პროკურორის ირაკლი ოქრუაშვილის დავალებით, რეგიონის პროკურატურამ სისხლის სამართლის საქმე ხულისგნობის მუხლით აღძრა. ცაავას განცხადებით, შექმნილია საგამომიებო ჯგუფი, რომელიც გვიან ღამემდე შემთხვევის ადგილზე მუშაობდა და თავდამსხმელთა ვინაობას ადგენდა. დაკითხული თავად გამგებელიც, რომელსაც სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა ჩაუტარდა და საავადმყოფოშია გადაყვანილი.

რა მოხდა, რეალურად, ნალკაში და რა გახდა სომეხი მოსახლეობის გამგებელთან დაპირისპირების საბაზი, როგორც პროკურორი გვპირდება, დღეს გახდება ცნობილი. პროკურორის დაპირებით, გამოძიებები დღესვე შეძლებს ჩხუბის ორგანიზატორების დადგენას, რომლებსაც ბრალი ხულისგნობის მუხლით წარედგინება.

24 საათი

საზოგადოება

საქართველოს რუსული მართლგადიდებლობის ნაცონალურიზმი ეპიქურაბა

რუსეთის დღეში ბლოკ "როდინას" შესვლას საქართველოში საინტერესო რეაქცია მოჰყვა. დეკანოზი ბასილ კობახიძე მიიჩნევს, რომ ვლადიმირ პუტინის ადმინისტრაციის მიერ არჩევნებამდე სამი თვით ადრე შექმნილი გაერთიანების ამგვარ გამარჯვებას ჩვენი ქვეყნისთვის კარგი არაფერი მოჰყვება. ამ აზრს მას "როდინას" იდეოლოგია უნერგავს.

A7

აინფორმაცია		
თბილისი	12	☁
ქუთაისი	13	☁
ბათუმი	13	☁
სოხუმი	12	☁
ფოთი	12	☁
თელავი	11	☁
ზუგდიდი	12	☁
ბორჯომი	8	☁
ჭიათურა	9	☁
ბაგრატ	11	☁
სამცხედრო	13	☁

უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

აშშ დოლარი	2.1400
ევრო	2.7105
გირვანქა სტერლ.	3.9348
რუბლი	0.0741

ქალაუფლება არ არის თხილის გული, რომელიც შეიძლება ცხრა ძვამ გაიყოს

რა შედეგს მოუტანს ქვეყანას ორხელისუფლებიანობა აღმასრულებელი ხელისუფლების შიგნით



"24 საათში" გამართული დისკუსიის მონაწილეები.

ევროკავშირი რვენთვის ქალისხმევას არ დაიბურავს

იმავეს მოელიან ევროპელები საქართველოს ხელისუფლებიდან

ევროკავშირი

საქართველოში ოფიციალურ ვიზიტად მყოფი საგარეო პოლიტიკისა და უსაფრთხოების საკითხებში ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენლის ხაიერ სოლანას პირველი შთაბეჭდილება: "ძალზე კარგია."

გუშინ სოლანა შეხვდა საქართველოს არჩეულ პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს, მოქმედ პრეზიდენტს ნინო ბურჯანაძეს, სახელმწიფო მინისტრს ზურაბ ჟვანიას. ამის შემდეგ ევროკავშირის უმაღლესმა წარმომადგენელმა სახელმწიფო კანცელარიის პრეკონფერენცია გამართა.

"ჩვენთვის ცნობილია, რომ საქართველოს ხელისუფლებას სერიოზული გეგმები აქვს და შევეცდებით, აქტიურად ვითანამშრომლოთ მასთან," – თქვა სოლანამ და თანამშრომლობის ტექნოლოგიაც განმარტა: როგორც კი ევროკავშირი

ბაზრადება A3 ბავრადუა



ხაიერ სოლანას პირველი შთაბეჭდილება: "ძალზე კარგია."

ხელისუფლებამ უნდა იბრძნოს, რომ მას აღარ აცდინან

მაია ჭალაბანიძე

ჩვენს ქვეყანაში ოდესმე ხომ დადგება ისეთი დრო, ცაიტნოტში რომ არ ვიქნებით, ვნებები რომ დამცხრალი იქნება და მშვიდი პოლიტიკური წეს-წყობილება დამყარდება. ალბათ, იმ დროისთვის ამოქმედდება ქვეყანაში დავროვილი საექსპერტო რესურსიც. თუმცა, ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ იქამდე ეს ადამიანები გულბელდაკრეფილი სხედან და ღვთის წყალობას ელიან.

არჩევნებში წარუმატებლობამ "რესპუბლიკური პარტია" არ დააბნია და საკუთარი ინტელექტუალური რესურსი არასამთავრობო სექტორში დააბანდა, მათ შორის არის **ივლიანე ხაინდრავა**.

ბაზრადება B1 ბავრადუა



ივლიანე ხაინდრავა "24 საათში".

არჩევნების შედეგები დამტკიცებულია

თამარ მჭედლიძე

არჩევნებზე მისულია მილიონ 963 556 ამომრჩეველი. როინ ლიპარტელიანი - 5 154 ხმა (0,26 პროცენტი), ქართლოს ლარიბაშვილი - 4 192 ხმა (0,21 პროცენტი), ზურაბ ქელესაშვილი - 1 901 ხმა (0,1 პროცენტი), თემურ შაშიაშვილი - 36 398 ხმა (1,85 პროცენტი), მიხეილ სააკაშვილი - 1 890 256 ხმა (96,27 პროცენტი), ზაზა სიხარულძე - 4 782 ხმა (0,24 პროცენტი), - ასეთია ოთხი იანერის ვადამდეელი საპრეზიდენტო არჩევნების საბოლოო, ოფიციალური შედეგები.

გუშინ ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ გამოაქვეყნა არჩევნების შედეგები. ოქმი, რომელსაც ხელი კომისიის თორმეტმა წევრმა მოაწერა; მათ შორის - "ალორძინებს" ორმა წარმომადგენელმა, ცესკოს წევრებმა "მრეწველთა" და "ახალი მემარჯვენის" პარტიებიდან. საგულისხმოა, რომ "ალორძინების" მესამე წევრმა - ზურაბ აბაშიძემ, რომელმაც ვერ შეძლო სხდომაზე მისვლა, ცესკოს თავმჯდომარეს ფაქსით ამცნო, რომ მთლიანად და საჯებით ეთანხმება არჩევნების შედეგებს.

ბაზრადება A2 ბავრადუა

რუსეთი მავოხლებთან ურთიერთობაზე ფიქრობს

არჩილ კონი "უარაზინატორა"

ამერიკელები დიდი ყურადღებით ადევნებენ თვალს ახლო საზღვარგარეთის ქვეყნებთან ურთიერთობების მომავლის შესახებ მოსკოვში მიმდინარე დებატებს. ვაშინგტონში შიშობს, რომ დუმის არჩევნებში ნაციონალისტური ძალების გამარჯვება კავკასიისა და ცენტრალური აზიის მიმართ მოსკოვის პოლიტიკის კიდევ უფრო გამკაცრებას გამოიწვევს.

საქართველოში მომხდარმა ცვლილებებმა და ხელისუფლებაში პრო-დასავლური ძალების მოსვლამ მოსკოვი აიძულა, კიდევ ერთხელ სერიოზულად დაფიქრებულიყო იმის თაობაზე, თუ როგორ ურთიერთობა უნდა იქონიოს მეზობლებთან. იმ პირობებში, როდესაც დუმას ნაციონალისტები აკონტროლებენ, პოლიტიკის შერბილების ლოდინი გულუბრყვილობა იქნება.

ბაზრადება A5 ბავრადუა

მერაბ ჟორდანიამ ბრალდება აღიარა

ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ბიუტეტის ვალი დააბრუნა

ინგა ალაშიძე

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა მერაბ ჟორდანიამ შსს-ს მიერ მისთვის წაყენებული ბრალდება - ბიუჯეტისთვის გადასახადის დამალვის შესახებ - ფაქტობრივად, აღიარა და გუშინ ბიუჯეტს 742 ათასი ლარი დაუბრუნა.

"ეს არის პირველი შემთხვევა, როდესაც ამხელა რაოდენობის თანხა დაუბრუნდა ბიუჯეტს. ხელისუფლება ყველაფერს გააკეთებს, რომ ხალხს დაუბრუნდეს ფული, რომელიც მას ეკუთვნის. ეს ფაქტი ქვეყანაში კანონიერების აღდგენის დასაწყისია," - განაცხადა შს მინისტრმა ვია ბარამიძემ.

ბაზრადება A6 ბავრადუა

საქართველოში ისეთი არაფერი ხდება, რომ სადღა საბანგაზო რაიონი იყოს

ენო ცინცაძე

“მზარს ვუჭერთ აჭარაში უკანონოდ დაპატიმრებულ სტუდენტებს, შეშფოთებას გამოვხატავთ აჭარაში არსებული დიქტატორული რეჟიმის გამო, მოვითხოვთ აჭარის ტერიტორიაზე “რუსთავი 2“-ის მაუწყებლობის აღდგენას,” - ბოლო პერიოდში ასეთი ლოზუნგები საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში ისმის. გუშინ ამ მიმართებებმა თბილისში არსებული უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებიც გააერთიანა.



სტუდენტების წარმომადგენლები სოლოდრობას უცხადებენ აჭარაში დაპატიმრებულ თანატოლებს.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ადმინისტრაციული კორპუსის მცირე სააქტო დარბაზში შეკრებილ საზოგადოებას, ტექნიკური უნივერსიტეტის სახელით - ლევან გაჩეჩილაძე, თსუ-ს სახელით - კახა კერესელიძე, თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა ინსტიტუტის სახელით - ირაკლი შიოლაშვილი, ზოოვეტის სახელით - გიორგი სააკაშვილი და აფხაზეთის სტუდენტურ ორგანიზაციათა გაერთიანების სახელით, მამუკა ნაქაძე მიმართავენ. “აჭარა ჩვენი ქვეყნის ნაწილია, ქვეყანაში კი დღეს არაფერი ხდება ისეთი, რომ

მის რომელიმე კუთხეში საგანგებო რეჟიმი იყოს გამოცხადებული,” - ამბობდნენ ისინი. თსუ სტუდენტების წარმომადგენელმა კახა კერესელიძემ, თბილისის სტუდენტობის სახელით, პირადად მიმართა ასლან აბაშიძეს და დაკავებული სტუდენტების საქმის პირად კონტროლზე აყვანა სთხოვა. “ნებისმიერი დაკავებული ახალგაზრდის საქმე მაქსიმალურად გამჭვირვალე და საჯარო უნდა

იყოს. ჩვენ არ გვაქვს იმის ახსნა, რასაც აჭარის შინაგან საქმეთა სამინისტრო იძლევა,” - აცხადებდა მამუკა ნაქაძე. სტუდენტებმა საგანგებოდ გაუყვეს ხაზი იმ გარემოებას, რომ მათ არავითარი სამოქმედო გეგმა არ გააანჩიათ და არსად შეჭრას არ აპირებენ. “უბრალოდ, როგორც ყოველთვის ხდებოდა ხოლმე, ჩვენ დავდგებით იქ, სადაც ჩვენი ქვეყნისათვის იქნება უკეთესი,” - თქვეს მათ.

ევროკავშირი ჩვენთვის ქალისხმევას არ დაიბურავს

ვირავალი ბაქრაძე

ხელისუფლების გეგმას გაეცნობა, მისგან პრიორიტეტებს გამოყოფს და საჭიროებისამებრ დაგვეხმარება. საქართველოში სტუდენტური მოძრაობის წარმომადგენლები დაფინანსებთ შეგვასხენებენ: “საქართველოს მტერი არ ჰყავს რომელიმე ქვეყნის სახით, თქვენი ყველაზე დაუნდობელი მტერი კორუფციაა.” იგივე პოზიცია დააფიქსირა გუშინ სოლანამ: “პოლიტიკური და ეკონომიკური საკითხებთან ერთად, სერიოზული ყურადღებები მიექცევა, როგორ განახორციელებს ხელისუფლება კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლას და სხვა ისეთ მნიშვნელოვან პრობლემებს, რომლებიც ქვეყნის გან-

ვითარებას აფერხებს.” ხაიერი სოლანა იზიარებს აზრს, რომ რუსეთი ვალდებულია, შეასრულოს სტამბულის სამიტის გადწყვეტილება საქართველოს ტერიტორიიდან თავისი სამხედრო ბაზების გაყვანის თაობაზე. იგი არ აკონკრეტებს, მიიღებს თუ არა ევროკავშირი მონაწილეობას იმ სოლიდური ფულადი კომპენსაციის გადახდაში, რომელსაც ბაზების გაყვანის სანაცვლოდ ითხოვს რუსეთი. სხვათა შორის, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, ამ დღეებში საკმაოდ მკვეთრი პოზიცია გამოხატა ბრიუს ჯეკსონმა, რომელიც საქართველოს ევროპაში ინტეგრაციას უწევს კოორდინაციას. “ქვეყანას, რომელიც ხელშეკრულებებს არღვევს, ვერ და-

ვაჯილეფებთ!” - განაცხადა მან. შურნალისტის შეკითხვაზე - “ევროკავშირის ახლად შექმნილი შეიარაღებული კორპუსი, რომელსაც სამშვიდობო ფუნქცია აკისრია, ხომ არ აპირებს, ჩანაცვლოს აფხაზეთში რუსეთის ჯარებს?” - სოლანამ უპასუხა: “ამისთვის საჭიროა გავრო-ს მანდატი, თუ გავრო ამის შესახებ მიიღებს გადაწყვეტილებას, ჩვენ, რასაკვირველია, დახმარებას გააჩვენებთ.” ევროკავშირში საქართველოს წარმომადგენლობის ხელმძღვანელი კონსტანტინე ზალდასტანნიშვილი კონსტანტინე ზალდასტანნიშვილი კონსტანტინე ზალდასტანნიშვილი კონსტანტინე ზალდასტანნიშვილი კონსტანტინე ზალდასტანნიშვილი პრეზიდენტის მიხედვით, რომ ეს ფაქტი “ფორმალურ მხარეს” სცილდება და “ევროკავშირი დაეხმარება საქართველ-

ოს, რათა ქვეყანაში ჩამოყალიბდეს მძალური დემოკრატიული ინსტიტუტები.” ზალდასტანნიშვილის განმარტებით, უპირველესი, რაც საქართველოს ხელისუფლებას ამ ეტაპზე მოეთხოვება, გახლავთ ის, რომ “მან მოსახლეობას უნდა აჩვენოს დადებითი ტენდენციები და დემოკრატიულად ჩაატაროს საპარლამენტო არჩევნები.” ზალდასტანნიშვილის ინფორმაციით, სოლანას სტუმრობის შემდეგ კიდევ უფრო გაღრმავდება საქართველო-ევროკავშირის დიალოგი და ახლო მომავალში მოსალოდნელია საქართველოს ახალი პრეზიდენტის - მიხეილ სააკაშვილის აქტიური ვიზიტები ევროკავშირის წევრი ქვეყნების დედაქალაქებში და ბრიუსელში.

PSP ჰსპ
მეტროს სადგურ “ვარკეთილთან”, ჯავახეთის ქუჩა №4-ში გაიხსნა „აქუს-პე“-ს ახალი ავთიაქი ფვლახათის კარგად ნაცნობი PSP-ს საავთიაქო ქსელის გამაერთიანებელი ლურჯი და მწვანე ფერის ვეარით.
„აქუს-პე“-ს საავთიაქო ქსელისათვის დამახასიათებელი მომსახურების მაღალი დონისა და თანამშრომელთა პროფესიონალიზმის გარდა, მოსახლეობისათვის ასევე კარგად ცნობილია, რომ ამ ლოგოს მქონე ავთიაქებში შეიძენენ გარანტირებული ხარისხის მედიკამენტებს მინიმალურ ფასებში, რომელიც საერთაო ქსელის ყველა ავთიაქისათვის.
კომპანიის შენეჯმენტის აწყობილი სისტემა გამოირჩევა უხარისხო მედიკამენტის მოხვედრას „აქუს-პე“-ს ქსელის ყველა ავთიაქში, სწორედ ამიტომ PSP-ს ლოგო მედიკამენტების ხარისხის გარანტია!
ახალი ავთიაქი ვარკეთილში

კალენარები

სკამები და კანდიდატები

ლენა მიქაძე

დღის წესრიგში, გიგი წერეთლის აღმასრულებელ ხელისუფლებასთან შეთანხმების საკითხი. როგორც ამბობენ, იგი არ იტყობა უარს ჯანდაცვის მინისტრის თანამდებობაზე. ორგზის ექს-იუსტიციის მინისტრი კოტე კეჭულარია, ალბათ, “ნაციონალების” ფრაქციის ლიდერად დარჩება და ვიცე-სპიკერის რანგში საპარლამენტო ფორმის განამტკიცებს. რაც შეეხება საპარლამენტო ფრთას, ერთიანი საარჩევნო სის შექმნაზე შეთანხმებული “ნაციონალები” და “დემოკრატები” კვლავ ერთიან ფრთაში დარჩებიან. ისე, ორივე მხარისათვის ცნობილია, რომ ამ გაერთიანებაში “საკონტროლო პაკეტი” “ნაციონალურ მოძრაობას” ერგება. სიიდან თავისი წილი ეკუთვნის ნინო ბურჯანაძესაც, თუმცა, მოქმედი პრეზიდენტის მიერ ადრე წარდგენილ კანდიდატურებში ახლა სერიოზული ცვლილებაა მოსალოდნელი. “ხავერდოვანი რევოლუციის” შემდეგ ეტაპზე პარლამენტის წევრის სავარაუდო უკვე ნაკლებ მნიშვნელოვან ენეგენება ერთბაშად რამდენიმე “ახალ სახეს”, რომლებიც ძველი სამცხე-ჯავახეთის მუშაობის გაგრძელებას ვარაუდობენ. როგორც ამბობენ, ამ კატეგორიაში ივარაუდება “ჯიპა“-ს რექტორი გიორგი მარგველაშვილიც.

ჭაოსნების დაფარვის ზონა

საქართველოს ტერიტორიის 70% დასახლებული ტერიტორიის

მაგისტრალური გზების დაფარვა

ცხიზული-აგროლაური-ონი 99%

აგროლაური-საგარეო-ლინგვისი 90%

2002 18%

2003 60%

დასახლებული ტერიტორიის დაფარვა

www.geocell.ge




მერაია არაბულ ქვეყნებს დაიპყრობს

პოპულარული მომღერალი ქალბატონი მერაია ქერი ბერიუთში კონცერტს გეგმავს. ეს იქნება მისი პირველი საკონცერტო გამოსვლა არაბულ ქვეყანაში. კონცერტები მერაიას მსოფლიო ტურნეს შემადგენელი ნაწილი იქნება.

კულტურულ ცენტრ BIEL-ის სცენაზე გამართული კონცერტის შემდეგ, რომელიც 24 თებერვალს გაიმართება, მომღერალი ბერიუთში გამართავს კონცერტს. როგორც ჩანს, მერაიამ სერიოზულად განიზრახა, 2002 წლის შემოქმედებითი კრიზისის შემდეგ განაახლოს საკუთარი კარიერა.

მას შემდეგ, რაც 90-იან წლებში პირველი ალბომი ჩანერა, მერაია ერთადერთი შემსრულებელი ქალბატონი იყო, ვისი სიმღერებიც ყოველწლიურად ექცეოდა მუსიკალური ჰიტ-პარადების სათავეებში. კარიერის განმავლობაში მერაიამ მრავალი ჯილდო დაიმსახურა, მათ შორის, "ათასწლეულის ყველაზე გაყიდვადი მომღერალი ქალის" ტიტულიც. და ეს ყველაფერი იმის მიუხედავად, რომ მერაია მხოლოდ 33 წლისაა.



სატენდერო განცხადება

ამიერკავკასიის ანტიწარკობიერ პროგრამის ევროგაერთიანების ფინანსური მხარდაჭერით საქართველოში ახორციელებს გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP). ამ პროგრამის ერთ-ერთ კომპონენტს წარმოადგენს საბაჟო პოსტებისათვის აღჭურვილობის შექმნა ნარკოტიკებზე კონტროლის გაძლიერების მიზნით.

UNDP აცხადებს ტენდერს საბაჟო ინსპექტირებისათვის აუცილებელი აღჭურვილობის შექმნაზე.

აპარატურის სპეციფიკაცია და სატენდერო პირობები განთავსებულია ინტერნეტის ვებ-გვერდზე: www.undp.org.ge

დაინტერესებულმა ორგანიზაციებმა უნდა წარმოადგინონ თავიანთი წინადადებები დახურული კონვერტით პროგრამის კოორდინატორ ბ-ნ პაატა ნოზაძესთან ა/წლის 26 იანვრის 17 საათამდე შემდეგ მისამართზე:

თბილისი, 0179, ერისთავის 9, გაეროს სახლი. ტელ: 25-11-26/28/29/31 (ოფისი), 899-191-000 (მობ).

გავშვთა კლინიკო-ღიაგნოსტიკური ცენტრი "ჯანმრთელი ოჯახი"

გთავაზობთ პედიატრიულ სამსახურს (0-16 წლამდე), აცრებს (მათ შორის გრიპის სანიანალმდეგო), სრულ ექოსკოპიურ გამოკვლევას.

თქვენს სამსახურში არიან კვალიფიცირებული სპეციალისტები თბილისის წამყვანი კლინიკებიდან.

მისამართი: ლ. ქიაჩელის ქ. 18.
ტელ: 98 23 37.

ფსიქოთერაპიული ცენტრი "არსი" (ხელმძღვანელი პროფ. გივი მერაბიშვილი)

კურნავს ფსიქიკურ აშლილობას. ახორციელებს მშობელთა კონსულტაციას-ტრენინგებს და ამზადებს სპეციალისტებს.

ტელ: 93-11-05, 57-37-13.

შეიძინეთ გაერთეთ მოიგეთ!

ფორმა "ჯენიუსი" ცხოვრების წესსა და

ყოველ შაბათს, რუსთაველი 2-ის პირდაპირ ცენტრში გაიმართება ტოტალიზატორი "საუფასო ტოტოს" გათამაშება.

ნამალი "სალხინო" ქართული ფლორის საოცრება

თუ განუხებთ პროსტატიტს, ცისტიტს, ქალური და შარდ-საქსოვლო ორგანოების დაავადებებს; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხერხელის ბაგეთა მიწებება, სუნის ან გამოწვევა; აგრეთვე ტკივილი ნეფრის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშინაობის და იმპოტენცია, მიიღეთ ნამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნება.

"სალხინო" ანესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლცისტიტი), პეპტიკის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსაბოვნო სუნს. ნამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

ნამალი "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოში, რუსეთში, აზერბაიჯანში და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

ნამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.

"პროდიჯი"

ალიზია კისი ნსადაც კმაყოფილია



ერთ დროს სუპერ-პოპულარული, ელექტრონული მუსიკის დესპანი ჯგუფი "პროდიჯი" ატყობინებს თავიანთსმცემლებს (ალბათ შემორჩა ჯგუფს ასეთები), რომ გამოდის მათი მორიგი, უკანასკნელი შეიდი წლის განმავლობაში კი პირველი ალბომი. შეგახსენებთ, ჯგუფის ბოლო ჩანანერია 1997 წელს გამოშვებული ალბომი The Fat of the Land.

მუსიკოსების თქმით, ახალი ალბომი "გაცილებით სექსუალური

და სადღაც პანკურიც იქნება". ჯერჯერობით, არ არის დადგენილი ალბომში შემავალი ყველა სიმღერის საბოლოო ვარიანტი. თუმცა, რამდენიმე კომპოზიციის სახელწოდება ცნობილია - The Way It Is, Lovebuzz, Girls, Who You're Fooling, Action, Slang Technology, No Souvenirs, Wake Up და The Gun.

ალბომი 2004 წლის ივნის-ივლისში გამოვა. ამჟამად მისი სახელწოდება დამტკიცებული არ არის.



ვარსკვლავთა უმრავლესობა ძალიან კმაყოფილია, რომ მათ ფოტოსურათებს კომპიუტერულად ამუშავებენ: უფრო ლამაზებიც გამოდიან და უფრო ტანადებიც. ისეთი საჩივრები, როგორც ბრიტანელმა მსახიობმა კეიტ ვინსლეტმა შეიტანა - ყურნალმა GQ-მ მეტისმეტად დამახელო - დიდი იშვიათობაა. ახლა კი კეიტს მხრდამჭერი გამოუჩნდა.

თურმე, არც ამერიკელ მომღერალ ალიზია კისს მოსწონს, როცა ვილაცა მას "ამუშავებს". "მე ჩემი

სხეულით ძალიან კმაყოფილი ვარს. ისიც ძალიან მომწონს, რომ გაძვალტყავებული არ ვარ," განაცხადა "გრემის" მფლობელმა. ის ძალიან გაჯავრდა, როცა აღმოჩინა, რომ ცალკეულ ფოტოსურათებზე "ლამის მთელი სხეულის ნაწილებია ჩამოჭრილი".

"მე საკუთარი თავი არ მერცხვინებ, და არც ის მწყინს, რომ ქალური ფორმები მაქვს და ვილაცის თვალში მსუქანი ვარ," - ამბობს კისი.

საბავშვო გაზეთი 12-მა

მართონ და მხსნეთ ტირაჟის შედეგები

04002876	05002229
04000812	05003811
04003436	05002982
04003016	05003908
04003280	05002626
04002055	05002676
04001540	05000175
04002010	05003371
04002261	05003518
04000481	05000525